

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №907

2011 წლის 21 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 11 აპრილის №2840-IX დადგენილებით რატიფიცირებული „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციის მე-7 მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მდგრადი ორგანული დამბინძურებლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულებისა და ქიმიური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით:

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ განახორციელოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან ტექნიკური და ფინანსური დახმარების მიღების მიზნით, რათა სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესასრულებლად მიღწეულ იქნეს საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები, ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება.

3. საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და ყოველწლიურად ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს.

4. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ განახორციელოს საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის კოორდინაცია.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა

ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნები

1. ეროვნული სამოქმედო გეგმა (ესგ) სტრატეგიული დოკუმენტია და განსაზღვრულია 2011-2015 წლებისთვის. მისი მიზანია შეიმუშაოს და გააუმჯობესოს მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) მართვის მაქსიმალურად ეფექტური სტრატეგია, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა მდგრადი პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით.

2. მოდ-ებთან მიმართებაში ეროვნული მიზნებია:

ა) შემუშავდეს და განხორციელდეს ინტეგრირებული საკანონმდებლო ჩარჩოები და ინსტიტუციური სიტემა. შემცირდეს და თავიდან იქნეს აცილებული მოდ-ების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე;

ბ) კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს მოდ-ებით დაბინძურების დეტალური ინვენტარიზაცია, შემცირება და გასუფთავება;

გ) მოდ-ების ახალი წყაროების შექმნის თავიდან ასაცილებლად შემუშავდეს და განხორციელდეს ეროვნული და გლობალური დონის ღონისძიებები.

ეროვნული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები

მოდ-ების პრიორიტეტული საკითხები დადგინდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, UNITAR-ისა და UNDP/GEF-ის მოდ-ების პროექტის ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით და გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული საკითხები:

1. პესტიციდები (ვადაგასული პესტიციდების ნარჩენები).
2. პქბ (პოლიქლორირებული ბიფენილები).
3. ფურანები და დიოქსინები (თანაური პროდუქტები).

პრიორიტეტი №1 – ამ სამუშაოს შედეგების შესაბამისად, სხვადასხვა კატეგორიის მოდ-ებს შორის პირველი პრიორიტეტი მიეკუთვნა ვადაგასულ მოდ-პესტიციდებს. მთლიანობაში პირველადი ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილია დაახლოებით 3057 ტონა ქიმიკატი, რომელთაგან, სავარაუდოდ, 2700 ტონა განთავსებულია იაღლუჯის პესტიციდების სამარხზე, ხოლო დანარჩენი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზეა გადანაწილებული ქიმიკატების საწყობებში. ამ საწყობებიდან აღებული სინჯების ლაბორატორიული ანალიზის შედეგების ექსტრაპოლაციით დადგინდა, რომ ვადაგასული პესტიციდების (სულ – 357 ტონა) დაახლოებით 60-65% მოდ-ების შემცველია. შესაძლებელია აღმოჩნდეს დაბინძურების დამატებითი კერები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება დამატებითი ინვენტარიზაციის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2007-2009 წლებში სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებით განხორციელდა ვადაგასული პესტიციდების შეგროვებისა და დროებით უსაფრთხო განთავსების ღონისძიებები. შედეგად შეგროვდა და იაღლუჯის სამარხში დროებით განთავსდა 214 ტონა ვადაგასული პესტიციდი, რომელთა უმეტესი ნაწილი მოდ-ების შემცველია. ასევე იაღლუჯის სამარხის სარკოფაგებში 70-იანი წლებიდან, სავარაუდოდ, განთავსებულია 250-300 ტონამდე მოდ-ების შემცველი პესტიციდი.

პრიორიტეტი №2 – მეორე პრიორიტეტი მიენიჭა პოლიქლორირებული ბიფენილების (პქბ) შემცველ დანადგარებსა და ნარჩენებს. პირველადი ინვენტარიზაციის შედეგად შემოწმდა შესაბამისი დაწესებულებები, სადაც დაფიქსირდა, სავარაუდოდ, 5 000-ზე მეტი კონდენსატორი და 15 000-ზე მეტი ტრანსფორმატორი. კონდენსატორებისა და ტრანსფორმატორების გარკვეული რაოდენობის შესწავლის შედეგად დადასტურდა პქბ შემცველობა/დაბინძურება. უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ქვეყნის მასშტაბით კონდენსატორებისა და ტრანსფორმატორების დამატებითი ინვენტარიზაციის ჩატარება, რათა ზუსტად განისაზღვროს პქბ შემცველი დამბინძურებელი ზეთების რაოდენობა (მოცულობა).

პრიორიტეტი №3 – მესამე პრიორიტეტი მიენიჭა მოდ-ების შემცველ თანაურ პროდუქტებს, კერძოდ, დიოქსინ/ფურანების გამოფრქვევებს. 2004 წლის მონაცემების მიხედვით, დიოქსინ/ფურანების გამოფრქვევების 80% უკონტროლო წვის პროცესებით არის წარმოქმნილი (ნარჩენების უკონტროლო/სპონტანური წვა და ტყის ხანძრები), რომელთა უდიდესი ნაწილი ნაგავსაყრელებზე ნარჩენების უკონტროლო წვის შედეგია.

ზოგადი ხასიათის პრობლემების მიხედვით ქმედებები ასე გადანაწილდა:

- ა) სათანადო კანონმდებლობის შემუშავება მოდ-ების შესახებ;
- ბ) რისკების შეფასებისა და მართვის შესაძლებლობების ზრდა;
- გ) მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- დ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ეფექტური პროგრამების შემუშავება.

მდგრადი ორგანული დამზინძურებლების მართვის გეგმა

მოდ-ების მართვის გეგმა შემუშავდა იდენტიფიცირებული პრიორიტეტების მიხედვით, კონსულტაციების რეჟიმში. გეგმა დაყოფილია მოკლე და საშუალოვადიან ღონისძიებებად. გეგმა შედგება მიზნების, ამოცანების, ღონისძიებების, მოსალოდნელი შედეგების, პასუხისმგებელი მხარეების, განხორციელების ვადების, დაახლოებითი ხარჯებისა და ფინანსების პოტენციური წყაროებისგან.

მოკლევადიანი სამუშაოები უნდა განხორციელდეს 2011-2013 წლებში. აღნიშნულ სამუშაოებს ძირითადად წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზისა და ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, მოდ-ების შემცველი პესტიციდების განადგურება. ნაგავსაყრელებზე ნარჩენების უკონტროლო წვის პროცესების შეჩერება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები.

საშუალოვადიანი სამუშაოები განხორციელდება 2013-2015 წლებში, რაც მოიცავს მოდ-ების მართვას, კვლევას, განვითარებას, მონიტორინგს და სხვა შესაბამის ღონისძიებებს.

საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და დაგეგმვა

ამოცანები	ღონისძიებებიM	მოსალოდნელი შედეგებიE	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
მოდ-ების სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია	სამინისტროთაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა	სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება	გარემოს დაცვის სამინისტრო სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად			2011-2015
საკანონმდებლო ბაზის შემუშავება სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციების და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად	არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ახალი კანონმდებლობის შემუშავება ან არსებულის დახვეწა მოდ-ების საკითხების გათვალისწინებით კანონდღრულების საჭიროებების განსაზღვრა	იდენტიფიცირებულია საკანონმდებლო ბაზაში შესატანი ცვლილებები გაუმჯობესებულია კანონმდებლობა და მასში ასახულია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნები	გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო	1.25 მლნ ევრო	ევროკავშირის დახმარება „თწინინგ“	2011-2012
სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციებით რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების მონაცემთა ბაზის შემუშავება-განახლება	არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციებით რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების ერთიანი მონაცემთა ბაზის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	მონაცემთა ბაზა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს (IUPAC და CAS), ჰარმონიზირებული კოდების სისტემას (HS), რომლის მიხედვით გაუმჯობესდება სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციებით რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების მართვა	გარემოს დაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო			
ნარჩენების მართვის კონცეფციის შემუშავება მოდ-ების გათვალისწინებით	ნარჩენების მართვის კონცეფციის შემუშავება ტექნიკური, ორგანიზაციული,	შემუშავებულია ნარჩენების მართვის კონცეფცია	გარემოს დაცვის სამინისტრო შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით			

	გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ფინანსური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით					
--	---	--	--	--	--	--

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის საკითხებში ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერება	ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის ინსტიტუციური ჩარჩოების განსაზღვრა და შესაძლებლობების გაძლიერება	ინსტიტუციური ჩარჩოები განსაზღვრულია და შესაძლებლობები გაძლიერებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		GEF	
შესაბამისი სამინისტროების და სხვა უწყებების ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული თანამშრომლების ტრენინგი	ტრენინგების და სემინარების ორგანიზება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	თანამშრომლების კვალიფიკაცია ამაღლებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სხვა შესაბამისი უწყებები	350 000	ბილათერალური დონორები	2011-2013

მოდ-პესტიციდების მართვა და ნარჩენების განადგურება

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
-----------	--------------	----------------------	-------------------------------------	--------------------------------	-------------------------------	---------------

მოდ-პესტიციდების ინვენტარიზაცია (მეორე ფაზა)	მოდ-პესტიციდების ინვენტარიზაციის ჩატარება FAO-ს და UNEP-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად	ინვენტარიზაციის მეორე ფაზა ჩატარებულია. ანგარიში მოიცავს მოდ-პესტიციდებზე განახლებულ ინფორმაციას მათი რაოდენობის შესახებ	გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით	150 000	GEF	2011-2012
იაღლეჯის სამარხში არსებული მოდ-პესტიციდების ამოღება-შეფუთვა	პესტიციდების სამარხიდან ამოღების, შეფუთვის და დროებით უსაფრთხოდ განთავსების სამუშაოების შესრულება	სამარხიდან ამოღებულია და შეფუთულია მოდ-ების შემცველი პესტიციდები (მინიმუმ 200 ტონა)	გარემოს დაცვის სამინისტრო	1 მლნ	GEF ევროკავშირის დახმარება	2011-2013
ქვეყნის ტერიტორიაზე შეგროვებული და იაღლეჯის სამარხში განთავსებული მოდ-ის შემცველი პესტიციდების განადგურება	განხორციელდება მინიმუმ 200 ტონამდე პესტიციდების განადგურება (საქართველოში ცემენტის ქარხანაში, ექსპორტით სხვა ქვეყანაში და შესაბამის საწვავ ღუმელებში დაწვა ან სხვა მეთოდის გამოყენება)	მინიმუმ 200 ტონამდე პესტიციდი განადგურებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო			
იაღლეჯის სამარხის მდგომარეობის გაუმჯობესება	სამარხზე არსებული მდგომარეობის შესწავლა/შეფასება შემოღობვა სადრენაჟო სისტემის მოწყობა ღია ადგილების მიწის ფენით დაფარვა	იაღლეჯის სამარხის ეკოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო	400 000	GEF ბილატერალური დონორები ევროკავშირის დახმარება	2013-2015

პოლიქლორირებული ბიფენილები

ამოცანები	ლონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი	სავარაუდო	დაფინანსების	დროის განრიგი
-----------	--------------	----------------------	-----------------------	-----------	--------------	---------------

			ორგანიზაციები	ხარჯები	შესაძლო წყაროები	
პკბ-ების ინვენტარიზაცია (მეორე ფაზა)	ქვეყნის მასშტაბით პკბ-ის შემცველი დანადგარების ინვენტარიზაციის ჩატარება	პკბ-ის შემცველი ზეთების რაოდენობისა და პკბ-ით დაზინძურებული დანადგარების ინვენტარიზაცია დასრულებულია და მონაცემთა ბაზა შემუშავებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო	200 000 აშშ დოლარი	GEF დონორები	2012-2013
პკბ-ის შემცველი დანადგარების შეგროვებისა და განადგურების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების შესწავლა/განსაზღვრა	პკბ-ის შემცველი ზეთების და დანადგარების შეგროვებისა და განადგურების ღონისძიებების შემუშავება ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებით	შესწავლილია და განსაზღვრულია პკბ-ების შეგროვებასა და განადგურებასთან დაკავშირებული ხარჯები	გარემოს დაცვის სამინისტრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შესაბამისი კერძო სექტორი	50 000 აშშ დოლარი	UNDP/GEF	2013-2015
პკბ-ის შემცველი ზეთების განადგურების სადემონსტრაციო პროექტის განხორციელება	დროებითი საწყობის მოწყობა პკბ-ის განადგურებისათვის შესაბამისი ჯგუფების შექმნა და ადგილზე ტრენინგების ჩატარება 100 ტონა პკბ-ის შემცველი ზეთების შეგროვება, განთავსება და განადგურება	პკბ-ის განადგურებისთვის საჭირო პირობები შექმნილია და 100 ტონა პკბ განადგურებულია მიღებული და შეძენილია გამოცდილება ქვეყნის მასშტაბით	გარემოს დაცვის სამინისტრო შესაბამისი კერძო სექტორი	500 000	GEF ევროკავშირის დახმარება	2014-2015

დიოქსინ-ფურანების გამოფრქვევების შემცირება

ამოცანები	ღონისძიებებიM	მოსალოდნელი შედეგებიE	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
ძველ ნაგავსაყრელებზე ღია წვის პროცესების აღმოფხვრის მიზნით სადემონსტრაციო პროექტის შემუშავება-განხორციელება და ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა	სათანადო ღონისძიებების გატარება ორ შერჩეულ ნაგავსაყრელზე ღია წვის პროცესების აღმოფხვრის მიზნით ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკის დანერგვა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესება ადგილებზე ღია წვის პროცესების თავიდან აცილების მიზნით მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება შესაბამისი პერსონალისათვის	საპილოტო ნაგავსაყრელებზე ღია წვის პროცესები შეწყვეტილია დანერგულია ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკა საპილოტო რეგიონში ნარჩენების შეგროვების სისტემა გაძლიერებულია მომზადებულია შესაბამისი პერსონალი	გარემოს დაცვის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობები	1 300 000	ევროდახმარება ბილატერალური დახმარება	2011-2015
სადემონსტრაციო სანიტარიული ნაგავსაყრელის აგება და მიმდებარე ზონაში არსებული ნაგავსაყრელების დახურვა	აიგოს სადემონსტრაციო სანიტარიული ნაგავსაყრელი და დაიხუროს მის შემოგარენში არსებული ძველი ნაგავსაყრელები	ერთ-ერთ რეგიონში ნარჩენების განთავსების პრობლემა გადაწყვეტილია	გარემოს დაცვის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობები	8 400 000	EBRD SIDA	2011-2014

ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
-----------	--------------	----------------------	-------------------------------------	--------------------------------	-------------------------------	---------------

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ძირითადი სოციალური ჯგუფების ჩართულობა	ინფორმაციის გაცვლა კონვენციის სამდივნოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო პორტალის შექმნა	მოდ-ების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად განახლდება და მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს	გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არასამთავრობო ორგანიზაციები	100 000	GEF ევროკავშირის დახმარება	2011-2015
ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მოდ-ების მავნე ზეგავლენის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ბეჭდური მასალების მომზადება და გავრცელება, სემინარების ორგანიზება, მასშედიით ინფორმაციის გავრცელება და სხვ.	მოდ-ების შესახებ მოსახლეობის ცნობიერება ამაღლებულია	გარემოს დაცვის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	150 000		

მონიტორინგის სისტემის შექმნა

ამოცანები	ლონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
მოდ-ების მონიტორინგის შესაძლებლობების შექმნა	ლაბორატორიის განახლება მოდ-ების მონიტორინგის მიზნით შესაბამისი პერსონალის ტრენინგი	შექმნილია მოდ-ების მონიტორინგის შესაძლებლობა, არსებობს შესაბამისი პერსონალი და მოწყობილობა	გარემოს დაცვის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო	400 000	GEF ევროკავშირის დახმარება	2012-2014

კვლევა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები	სავარაუდო ხარჯები (აშშ დოლარი)	დაფინანსების შესაძლო წყაროები	დროის განრიგი
მოდ-ებთან დაკავშირებული კვლევების ხელშეწყობა	მოდ-თან დაკავშირებულ კვლევებზე საერთაშორისო/რეგიონული კონფერენციების მოწყობა „სუფთა ტექნოლოგიების“ განვითარების ხელშეწყობა	მიმდინარეობს მოდ-ებთან დაკავშირებული კვლევები განვითარებულია და ინერგება „სუფთა ტექნოლოგიები“	გარემოს დაცვის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამეცნიერო სექტორი	150 000	ორმხრივი თანამშრომლობა	2012-2015
მაღარიის გადამტანის წინააღმდეგ DDT-ის ალტერნატივების შეფასება, დემონსტრირება, დანერგვა	დაავადების გადამტანის წინააღმდეგ DDT-ის ალტერნატიული ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა	დადგენილია DDT-ის ეფექტური და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ალტერნატივები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გარემოს დაცვის სამინისტრო	500 000	GEF ევროკავშირის დახმარება	2011-2014

